# *წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის*

# *ო ქ მ ი №2*

ქ. თბილისი 22 ნოემბერი, 2006 წელი

*დღის წესრიგი:*

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცება;
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცება.

*სხდომას ესწრებოდნენ:*

სხდომას ესწრებოდა 29 წევრი.

1. **დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა სენატის რეგლამენტის სამუშაო ჯგუფი წევრთა შემდეგი შემადგენლობით:**

ა. ზურაბ ძლიერიშვილი
ბ. ზურაბ ფაღავა
გ. ელგუჯა მექვაბიშვილი
დ. გოგი გოგსაძე
ე. შოთა სამსონია
ვ. ცირა ბარამიძე
ზ. მარიამ ჩეკურიშვილი
თ. კახაბერ ლორია

წარმოდგენილი კანდიდატურები საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მოწონებული.

2. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილ იქნა ქალბატონ ირინე დარჩიას კანდიდატურა.**

საბჭოს წევრებმა ღია კენჭისყრით მხარი ერთხმად დაუჭირეს ქალბატონი ირინე დარჩიას კანდიდატისათვის ხმის მიცემას ღია კენჭისყრით.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს ქალბატონი დარჩიას მოკლე ბიოგრაფია. კანდიდატის მიერ წარდგენილ იქნა 2010 წლამდე განსახორციელებელი მომავალი სამოქმედო გეგმა, რომელთან დაკავშირებითაც გამოითქვა უმნიშვნელო ხასიათის შენიშვნები.

გაიმართა ღია კენჭისყრა ქალბატონ ირინა დარჩიას კანდიდატურის დასამტკიცებლად;

არჩევნებში ქალბატონ ირინე დარჩიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა სენატის 29 წევრმა. წინააღმდეგი - არცერთი.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარდგენილ იქნა ქალბატონი გულნაზი გალდავას კანდიდატურა

სხდომაზე მოხდა ქალბატონი გულნაზი გალდავას მოკლე ბიოგრაფიის სენატის წევრებისათვის გაცნობა. ქალბატონმა გულნაზი გალდავამ წარმოადგინა მისი სამოქმედო გეგმა. გაიმართა დისკუსია სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მდივანს ქალბატონ მაკა ძამუკაშვილს. არჩევნები კანონის მიხედვით ჩატარდა ფარული კენჭისყრით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 29 წევრმა.

ქალბატონი გულნაზი გალდავას კანდიდატურას მხარი დაუჭირა 25 წევრმა. წინააღმდეგი - 3 ხმა. ბათილი აღმოჩნდა 1 ბიულეტინი.

***მიღებული გადაწყვეტილებები:***

1. დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის შემმუშავებელი ჯგუფი.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად არჩეულ იქნა ქალბატონი ირინე დარჩია.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ქალბატონი გულნაზი გალდავა.

დანართი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების შემაჯამებელი აქტი 22.11.2006 წ;
2. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის 20.11.2006 წლის №1 და 20.11.2006 წლის №2 წარდგინებები;

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — მარიამ ჩეკურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

## საარჩევნო კომისია

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი აქტი

2006 წლის 22 ნოემბერი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სრული რაოდენობაა 33 წევრი.

2. 2006 წლის 22 ნოემბერს სხდომას ესწრება და კენჭისყრაში მონაწილეობს --29-- წევრი.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ - გულნაზი გალდავას კანდიდატურას

   მხარი დაუჭირა -25- წევრმა
   წინააღმდეგი -3- წევრი
   ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა -1- ცალი.

ამგვარად,

1. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებს საარჩევნო კომისია აცხადებს ჩატარებულად.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ---გულნაზი გალდავა---.

ჯენარო ქრისტესაშვილი
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

მაკა ძამუკაშვილი
საარჩევნო კომისიის მდივანი